



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის

პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის
2020 წლის

სამოქმედო გეგმის შესრულების

ანგარიში

ზუგდიდი

2020 წელი, 30 დეკემბერი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში ასახავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. ამასთან, ანგარიშში მოყვანილია ინფორმაცია, რომელმაც გარკვეულ შემთხვევებში განაპირობა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავდა 4 სტრატეგიულ მიზანს, 10 ამოცანას და 17 აქტივობას. დოკუმენტი ასახავს მათი შესრულების შესახებ ინფორმაციას და შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს.

სტრატეგიული მიზანი 1. ცოდნის გაზიარების გზით რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.

ამოცანა: 1.3 რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით პრიორიტეტული დარგების/ მიმართულებების იდენტიფიცირება

აქტივობა 1.3.1. პრიორიტეტული დარგების/მიმართულებების (აგრარული, სამშენებლო, ტურიზმის, საინჟინრო, განათლების, ჯანდაცვის, სამართლის, ბიზნესი) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების შემუშავება/განხორციელება

სტატუსი: შესრულებული.

შესრულებული საქმიანობის აღწერა: 2020 წელს სასწავლო უნივერსიტეტის ზუგდიდისა და სენაკის ბაზაზე ხორციელდება სულ 36 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის აგრარული მიმართულების ორი პროგრამა („მეხილეობა“ და „მეზღეობა“) ხორციელდებოდა დუალური მიდგომით პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. ზემოაღნიშნული პროგრამებიდან 19 პროგრამა ზუგდიდის ბაზაზე, ხოლო 17 სენაკის ბაზაზე. კერძოდ:

ზუგდიდის ბაზაზე:

1. „ბუღალტრული აღრიცხვა“ მე-5 საფეხური; (მიღების უფლებით)
2. „ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი“ მე-5 საფეხური; (მიღევადი)
3. „პრაქტიკოსი ექთანი“ მე-5 საფეხური (მიღევადი);
4. „საექთნო საქმე“ მე-5 საფეხური (მიღების უფლებით)
5. „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი“ მე-5 საფეხური; (მიღევადი)
6. „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ მე-4 საფეხური (მიღევადი)
7. „ფარმაცევტის თანაშემწე“ მე-4 საფეხური; (მიღევადი) ;
8. „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მე-3 საფეხური; (მიღების უფლებით) ;
9. „ფილამწყობი“ მე-3 საფეხური; (მიღევადი)
10. „მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)“-მე-4 საფეხური (მიღევადი) (დუალური მიდგომით გასახორციელებელი);
11. „დეკორატიული მეზღეობა“) მე-4 დონე, დუალური მიდგომით; (მიღების უფლებით)
12. „საოფისე საქმე“ მე-4 დონე, (მიღების უფლებით)

13. „საფინანსო სერვისები“ მე-3 დონე;(მიღების უფლებით)
14. „ელექტროობა“ (მიღების უფლებით)
15. „შედულება“ მე-3 დონე (მიღების უფლებით)
16. „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ (ინტეგრირებული) მე-4 დონე (მიღების უფლებით)
17. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ინტეგრირებული, სრული) მე-4 დონე (მიღების უფლებით);
18. „ფარმაცია“ მე-5 დონე (მიღების უფლებით)
19. რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში „ მე-5 დონე (მიღების უფლებით)

სენაკის ბაზაზე:


1. „ბულალტრული აღრიცხვა“ მე-5 საფეხური; (მიღების უფლებით)
2. „ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი“ მე-5 საფეხური; (მიღევადი)
3. „პრაქტიკოსი ექთანი“ მე-5 საფეხური (მიღევადი);
4. „საექთნო საქმე“ მე-5 საფეხური (მიღების უფლებით)
5. „ფარმაცევტის თანაშემწე“ მე-4 საფეხური; (მიღევადი);
6. „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მე-3 საფეხური; (მიღების უფლებით)
7. „დეკორატიული მეზაღობა“) მე-4 დონე , მოდულური მიდგომით (მიღების უფლებით)
8. „საოფისე საქმე“ მე-4 დონე, (მიღების უფლებით)
9. „საფინანსო სერვისები“ მე-3 დონე (მიღების უფლებით)
10. „ელექტროობა“ (მიღების უფლებით)
11. „ვეტერინარია“ მე-5 საფეხური ; (მიღების უფლებით)
12. „მეზოსტნეობა“ მე-3 დონე;(მიღების უფლებით)
13. „მეფუტკრეობა“ მე-3 დონე; (მიღების უფლებით)
14. „ფერმერობა „ მე-4 დონე (მიღების უფლებით)
15. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ინტეგრირებული) მე-4 დონე (მიღების უფლებით);
16. „ფარმაცია“ მე-5 დონე (მიღების უფლებით)
17. „სკოლამდელი აღზრდა“ (მიღების უფლებით)

საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის შემოდგომაზე სულ ჩაირიცხა 264 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 115 სენაკის, ხოლო 149 ზუგდიდის ბაზაზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად, მონიტორინგს ახორციელებდა როგორც პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის სასწავლო პროცესის სპეციალისტები, ასევე პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

ქვეყანაში განვითარებული ეპიდსიტუაციის გამო 2020 წლის 1 მარტიდან 13 ივლისამდე შეწყვეტილი იყო სასწავლო პროცესი, ხოლო 13 ივლისიდან 19 სექტემბრამდე განახლდა პირისპირ რეჟიმში. 19 სექტემბრიდან 19 ოქტომბრამდე სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურად, ახალი მიწების და მიმდინარე ჯგუფებისთვის 19 ოქტომბრიდან განახლდა სასწავლო პროცესი ჰიბრიდულად, რომლის ფარგლებშიც 28 ნოემბრამდე პრაქტიკული კომპონენტების სწავლება და ასევე შედეგების დადასტურება მიმდინარეობდა სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე, ხოლო თეორიული სწავლება-დისტანციურად, 28 ნოემბრიდან დეკემბრის ბოლომდე კი სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი კვლავ გადავიდა დისტანციური სწავლების რეჟიმში მინისტრის ბრძანებების შესაბამისად. სასწავლო პროცესის ფარგლებში „დეკორატიული მეზღობის“ დუალური მიდგომით გასახორციელებელი პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ბაზაზე, პრაქტიკული კომპონენტები სრულდებოდა კომპანიის ბაზაზე მხოლოდ სპეციალური განრიგის შესაბამისად (კვირაში ორი დღე), დანარჩენი დღეები კი თეორიულ კომპონენტებს ისინიც გადიოდნენ დისტანციურად. ასევე აღსანიშნავია „შედულების“ პროგრამაზე 2019 წლის შემოდგომაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე განხორციელებული 21 საათის მოცულობის პრაქტიკული ხასიათის შედეგები. გაიწერა თითოეულის პროგრამისთვის სასწავლო პროცესის ვადები ინდივიდუალურად, რამოდენიმე პროგრამის ფარგლებში გაიწერა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და პრაქტიკული კომპონენტების შესრულება ჩანაცვლებულ იქნა თეორიული ხასიათის შედეგებით.

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 2020 წელს ჯამურად შეადგენდა 736 -ს. მათ შორის 2020 წლის დასაწყისში შეადგენდა 472-ს, ხოლო 2020 წლის საშემოდგომოდ ჩაირიცხა 264 სტუდენტი, მეცადინეობების გაცდენების გამო 2020 წელს პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 89 პირს, ხოლო პირადი განცხადების საფუძველზე შეუჩერდა 20 პროფესიულ სტუდენტს, აღუდგა სტატუსი 8 პირს, კურსდამთავრებულად ჩაითვალა -77. ამჟამად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა სულ არის 546. მათ შორის 261 სენაკის, ხოლო 285 ზუგდიდის ბაზაზე.

, დღეის მონაცემებით აქტიურია 546 სტუდენტი, განთესვის მაჩვენებელი შეადგენს 15,3%-ს.



სტრატეგიული მიზანი 3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (პროფესიული).

ამოცანა: 3.1 სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

აქტივობა-3.1.1. საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

სტატუსი: მეტწილად შესრულებული

შესრულებული საქმიანობის აღწერა: პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის, სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორისა და იურიდიული სამსახურის უშუალო ჩართულობით მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების, ასევე მათი განხორციელებისთვის შიდა რეგულაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოვიდა შესაბამისობაში:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბოლო ცვლილება 23.07.2020 წ. აკ. საბჭო. დადგენილება 44)
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი“. (ბოლო ცვლილება 23.07.2020 წ. აკ. საბჭო. დადგენილება №44)
3. „პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი“ (დამტკიცებულია 2020 წლის 22 აპრილის №25 დადგენილებით. აკ. საბჭო)
4. „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის დებულება“. (ცვლილება შევიდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის #12 დადგენილებით)
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“. დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 ივნისის №41 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს 29 ივნისის №29. დადგენილებით.
6. გადამტკიცებულ იქნა სტრუქტურული ერთეულების დებულებები (2020 წლის 29 სექტემბერი, სასწ. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს N14 დადგენილება)
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების წესი“ (სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 10 აპრილის N24 დადგენილება)
8. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები , სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 18 იანვრის N3 დადგენილება
9. ხარისხის უზრუნველყოფის 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმა (მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმა)
10. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 29 სექტემბრის N14 დადგენილება
- 11.

ამოცანა: 3.2 შრომის ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება

აქტივობა 3.2.2. ჩარჩო -დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური/დუალური) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში პროგრამების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

აქტივობა 3.2.3. ჩარჩო -დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული ახალი მოდულური/დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დამატება /ავტორიზაცია/დანერგვა შრომის ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე .

სტატუსი: შესრულებული

შესრულებული საქმიანობის აღწერა:

სასწავლო უნივერსიტეტმა მიზანშეწონილობის პროგრამების შემუშავების წესის სრული დაცვით შეიმუშავა და ცენტრში დასამტკიცებლად წარადგინა 12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 5 ინტეგრირებული სწავლებით გასახორციელებელი. კერძოდ:

ზუგდიდის ბაზაზე:

1. რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში-მე-5 დონე;
2. სკოლამდელი აღზრდა-მე-5 დონე;
3. ფარმაცია-მე-5 დონე;
4. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება მე-5 დონე;
5. პირის ღრუს ჰიგიენისტი ინტეგრირებული სწავლებით მე-4 დონე
6. ბიბლიოთეკარი ინტეგრირებული სწავლებით მე-4 დონე
7. კომპიუტერული ქსელი და სისტემები ინტეგრირებული სწავლებით მე-4 დონე

სენაკის ბაზაზე:

1. სკოლამდელი აღზრდა-მე-5 დონე;
2. ფარმაცია-მე-5 დონე;
3. ბიბლიოთეკარი ინტეგრირებული სწავლებით მე-4 დონე
4. კომპიუტერული ქსელი და სისტემები ინტეგრირებული სწავლებით მე-4 დონე
5. ფერმეობა მე-4 დონე

უნივერსიტეტმა ზემოაღნიშნული პროგრამები ცენტრში წარადგინა დაჩქარებული წესით 12 ივნისს, მიუხედავად იმ სირთულისა რაც გამოწვეული იყო ეპიდემიოლოგიური სიტუაციის

გამო ქვეყანაში, ფაქტიურად უკუკავშირი დამსაქმებლებთან, განმახორციელებლებთან, სამუსაო ჯგუფის წევრებთან მიმდინარეობდა ელექტრონულ ფორმატში. მიუხედავად იმისა რომ პროგრამებზე და მოდულებზე წელიწადზე მეტი იყო სამუსაო ჯგუფი მუშაობდა მაგრამ მაინც დროის გახანგრძლივება პროცესის გამოიწვია არსებულ სიტუაციასთან ერთად იმან რომ ცენტრის და სამინისტროს მიერ არაერთხელ იქნა ჩარჩო დოკუმენტები შეცვლილი, შესაბამისად სამუსაო ჯგუფს მხარდამჭერ პირებთან ერთად უწევდა ამის ხელახალი გავლა.

პროგრამების წარდგენის შემდეგ ვიზიტები ზუგდიდსა და სენაკში დაიგეგმა პარალელურ რეჟიმში რამაც ძალიან გაართულა უკუკავშირის პროცესი, ეფექტურობა დაბალი იყო თანამშრომლობისა, თუმცა ამის მიუხედავად სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურმა პროფესიული პროგრამების განყოფილებასთან ერთად პირნათლად შეძლო ყველა გამოწვევა მიეღო და მოვალეობა ჯეროვნად შეესრულებინა.

ექსპერტთა ვიზიტები ადგილზე განხორციელდა 2020 წლის მარტში (დეკორატიული მებაღეობის მოდულური მიდგომით გასახორციელებელი პროგრამის ინტეგრირებული მოდულებით განხორციელების უფლების მოპოვება) და ივლისში 11 პროგრამის გასახორციელებლად, ხოლო ერთის „ფერმერობის პროგრამის ვიზიტი წარიმართა დისტანციურ რეჟიმში.

ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებებით სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა უფლება დამატებით განახორციელოს 12 პროფესიული პროგრამა, მათ შორის 7 - ზუგდიდის, ხოლო 5 სენაკის ბაზაზე. მონიტორინგი ჩაინიშნა ორი მიმართულებით:

- ინტეგრირებული სწავლებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა (4 პროგრამაზე)
- ფერმერობის გასახორციელებლად შესაბამის აღჭურვილობის შესყიდვა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ

აღნიშნული მონიტორინგი სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში რომელმაც წარმატებით ჩაიარა, ისე რომ არც ერთი რეკომენდაცია არ გაცემულა . აღსანიშნავი ფაქტორია ის რომ ეს ყველაფერი სასწავლო უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულებისა და მხარდამჭერის ჯგუფის წევრების თანამშრომლობით განხორციელდა ქვეყანაში განვითარებული პანდემიის ფონზე.

აქტივობა 3.2.4. პროფესიული სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული არსებული საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სტატუსი: შესრულებული

შესრულებული საქმიანობის აღწერა:

შესრულებულია დაგეგმილი აქტივობები საგნობრივიდან მოდულურზე გადაყვანის მიზნით

N	2020 წლისთვის დასრულებული პროფესიული საგნობრივი პროგრამა	იდენტიფიცირებული შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი	სტატუსი მიმდინარე დროისთვის
1	კბილის ტექნიკოსი მე-3, მე-4 და მე-5 საფეხური	პირის ღრუს ჰოგიენისტი მე-4 დონე	დამატებულია
2	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი მე-3, მე-4 საფეხური	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი მე-4 დონე	დამატებულია
3	ა) ფერმერი მე-4 საფეხური, ბ) ზოოტექნიკოსი 1-ლი, მე-2, მე-3 საფეხურები, გ) მემცენარე მე-3 საფეხური	ფერმერი მე-4 დონე	დამატებულია

აქტივობა 3.2.5. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსების შემუშავება და დანერგვა შრომის ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე;

სტატუსი: შეუსრულებელი

შესრულებული საქმიანობის აღწერა:

2020 წელს სასწავლო უნივერსიტეტში საავტორიზაციოდ მომზადებულ იქნა სამშენებლო მიმართულების (სპეციალიზაცია-დურგალი) სამი მომზადება-გადამზადებისა

1. კორპუსული ავეჯის დურგალი (გადამზადება);
2. მასიური ხის დურგალი (გადამზადება);
3. მეყალიბე დურგალი (მომზადება).

პროფესიული მომზადების პროგრამების თეთქმის 80 %, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პანდემიის დროს ძირითადად პერსონალის საქმიანობა დისტანციურად ხორციელდება, ხოლო ის დამსაქმებლები, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნული

პროგრამების შემუშავებაში დროებით არ ფუნქციონირებენ, აღნიშნული სასერთიფიკატო პროგრამების უფლების მოპოვების პროცესი შეყოვნდა. ასევე ანალოგიური მიზეზებით არის შეყოვნებული სოფლის მეურნეობის მიმართულების სასერთიფიკატო პროგრამების (მცენარეთა დაცვა, მეფუტკრეობა) დადასტურების პროცესი და ტურიზმის მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის (რეგიონული ტურის მეგზური) განხორციელების უფლების მოპოვების პროცესი. ასეთ პირობებში უნდა ითქვას რომ პერსონალის ძირითადი ინტელექტუალური რესურსი მოხმარდა გრძელვადიანი პროგრამების ავტორიზაციისა და მონიტორინგის პროცესს, ამასთან აღსანიშნავია რომ ეს წელი გახლდათ თვითშეფასების წარდგენის პროცესის, რომელიც ასევე თავისთავად გულისხმობდა დიდი შრომის გაწევას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

აქტივობა 3.3.4. კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში დამსაქმებლის მონაწილეობა.

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

შესრულებული საქმიანობის აღწერა: სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“, რომელიც შეეხება მხოლოდ იმ პროგრამებს რომელთა ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს ამის აუცილებლობას, თუმცა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით საკვალიფიკაციო გამოცდა ნებაყოფლობითი წესით განვახორციელოთ იმ საგანმანათლებლო პროგრამებზეც, რომელთა ჩარჩო არ ითვალისწინებს აღნიშნულ აქტივობას, თუმცა პროგრამის შეფასების საუკეთესო მაგალითი იქნებოდა მსგავსი პრაქტიკის დანერგვა და დამსაქმებლების ჩართვა საკვალიფიკაციო გამოცდაზე. თუმცა ამ ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, რომელიც დანერგილია დუალური პროგრამების კურსდამამთავრებლებისთვის, კერძოდ: „მეხილეობის“ პროგრამის კურსდამტავრებულთათვის 2020 წელს ჩატარდა საკვალიფიკაციო გამოცდა დამსაქმებლების ჩართულობით და განხორციელდა წარმატებით 2020 წლის ოქტომბერში.

სასწავლო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს „პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი“ რომლის მიზანია უნივერსიტეტმა შეძლოს არსებული მდგომარეობის (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების) სწორი შეფასება/ანალიზი. გამოკითხვის გზით. ეს შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული გამოკითხვები, ასევე ფოკუს-ჯგუფები და ინტერვიუება.

სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების კვლევა კარიერის განვითარების ცენტრთან,

პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების თანამშრომლობით. გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და მიმდინარეობდა Google Forms-პლატფორმის გამოყენებით. პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის მიერ დამუშავებული იქნა კვლევების შედეგები, რომლის საფუძველზე განხორციელდა ანალიზი (დანართი 1; დანართი 2)

გამოკითხვები ფოკუსირებული იყო კმაყოფილების კვლევასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სასწავლო პროცესის შეფასებაზე, ასევე ჩატარდა კურსდამთავრებულების გამოკითხვა, თუ რამდენად გაამართლა პროგრამამ მათი მოლოდინები, თუ გამოადგათ, რა დააკლდათ პროგრამის კომპეტენციის სრულად მისაღებად და ა.შ. თუ დასაკმდნენ პროფესიით, თუ არა და რამ შეუშალა მათ ხელი და ა.შ. თუმცა ჩართულობა პანდემიიდან გამომდინარე არ არის მისაღები რაოდენობა და სამწუხაროდ არ მოგვცა ანალიზის საშუალება (35%). ჩატარდა ასევე დამსაქმებლისგან ძირითადად გამოკითხვა ინფორმაცია, თუ როგორი კმაყოფილი არიან სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულით და რა იქნებოდა ის დამატებითი სასურველი უნარი რასაც შეიძლება დამატებით ფლობდეს პროგრამის კურსდამთავრებული. აქაც ჩართულობა საშუალოზე ოდნავ დაბალს შეადგენს (40 %).

პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ნაწილში გამოიკვეთა:

1. მეტი ინფორმირებულობის აუცილებლობა მარეგულირებელი დოკუმენტების შემადგენელ კომპონენტებზე (დაზუსტება),
2. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სერვისების ხელმისაწვდომობაზე.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა დისტანციური სწავლებისთვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა საწყის ეტაპზე სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კვლევას. ჩატარებული კვლევის შედეგად დაფიქსირდა კომპიუტერულ ტექნიკასთან წვდომის 60 %-მდე მაჩვენებელი თუმცა 30 %-ს აფიქსირებს მობილური ინტერნეტით წვდომას. პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო მასწავლებლებისთვის კი გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა 90%-იანი წვდომა.

კვლევები ჩატარდა შემდეგ პლატფორმაზე:

პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება

https://docs.google.com/forms/u/1/d/1JpxukTjtNqHpTs7lCTGgJ9MYVEJMxSKhLFnvs95ECX8/edit?usp=drive_web

-კურსდამთავრებულების გამოკითხვა

<https://docs.google.com/forms/d/1-Cg0-0VW36lbt5ozwQCed4Tg5ZuSY-fq2W1z2Rtew5E/edit>

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა

https://docs.google.com/forms/u/1/d/1AuHEN3rH5PSMkLcxe7z9qv_YuaodlgrAcfaNEns_irU/edit?usp=drive_web-

პროგრამის/მოდულის/მოდულების/სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ

https://docs.google.com/forms/d/1Vr3XLYonmlU478_dpD3K2avGF0MIFZ_8ISr29pkBfcl/edit

ზსსუ ზუგდიდისა და სენაკის ბაზის პროფესიული სტუდენტების მიერ online სწავლებისთვის ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კვლევა

https://docs.google.com/forms/d/1tcUkQxqZCXZdqs29T7gemkRXckTTi0xSMf03t8Y19_Q/edit

ზსსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კვლევა

<https://docs.google.com/forms/d/1chO5zSb4kIODlxwQk3kG3HNGZdYibI0coOmwb6sufP4/edit>

ამოცანა: 3.5 საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა განსხვავებული მოთხოვნებისა და სსსმ პირთათვის.

აქტივობა: 3.5.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და დანერგვა, სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნებისა და სსსმ პირთათვის.

სტატუსი: მეტწილად შესრულებული

შესრულებული საქმიანობის აღწერა: სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახური მუდმივად გამოხატავს მხარდაჭერას სსსმ/შშმ პირთათვის პროგრამებში ჩართვის სურვილის გამოხატვის დღიდანვე, ამისთვის უზრუნველყოფს მათთვის ხელმისაწვდომ სერვისებს საგანმანათლებლო მიზნებისთვის. პროფესიული განათლების განვითარების სამსახური შემღებობისდაგვარად ხელს უწყობდა მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში როგორც სსსმ/შშმ სტუდენტს, ასევე მათ მასწავლებლებს. ამ ეტაპზე კი სასწავლო უნივერსიტეტში სულ 7 სსსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტია, მათ შორის სამი სტუდენტი სარგებლობს ტრანსპორტით. რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით კონკურსის წესით აყვანილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის პოზიციაზე სულ 2 პირი, რომლებიც 1 მარტიდან ასრულებენ მოვალეობებს.

„შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის #44 დადგენილებით გადამტკიცდა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის 25-ე მუხლში გაწერილია ისგ-ს შემუშავების მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება როცა პროფესიულ სტუდენტს:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.

ბ) არ აღნიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო (მობილობით გადმოსული, სტატუს ადგენილი, სხვა ობიექტური გარემოება), გარკვეული დროით საჭიროებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმიდან გადახვევას/სპეციალურ სასწავლო პროგრამას. წესი არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტში ინდივიდუალურად სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით.

ამოცანა: 3.6. სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ვალიდური, სანდო, მოქნილი, მარტივი, გამჭვირვალე, თანასწორი და სამართლიანი შეფასების სისტემის შემუშავება.

აქტივობა: 3.6.1. პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის გამჭვირვალე, თანასწორი და სამართლიანი შეფასების სისტემის უზრუნველყოფა

სტატუსი: მეტწილად შესრულებული

შესრულებული საქმიანობის აღწერა: სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც დეტალურად გაწერილია: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური, რომელსაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების განვითარების სამსახური და უზრუნველყოფს შეფასების უწყისების, შეფასების მტკიცებულებების აღიკვეთასა და შენახვას სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად.

სასწავლო უნივერსიტეტის **2020 წლის 29 თებერვლის №18 დადგენილებით** დამტკიცებულია შეფასების ფორმები და გადამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმები. შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების მტკიცებულებების შეფასების, შეფასების ინსტრუმენტის შეფასების ფორმებსა და მეცადინეობების შეფასების/დასწრების კითხვარს,

სასწავლო უნივერსიტეტში „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ითვალისწინებდა ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან შეფასების სისტემას. თუმცა არ იყო დაკონკრეტებული განმეორებითი განმსაზღვრელი, შეფასებისა და აპელაციის, ამასთან გამოჯნული ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურები. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრენინგების დროს გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე გადამტკიცდა/დაიხვეწა/განახლდა ზემოაღნიშნული წესი. მიმდინარე წესის შესაბამისად:

პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ზეპირი შეტყობინების ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული

განმეორებითი შეფასება

წინაპირობის მქონე მოდულის წინსწრები მოდულის ვერდადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი განმეორებითი შეფასებისთვის სარგებლობს ეტაპებს შორის არსებული ერთკვირიანი შუალედით ე.წ. განმეორებითი შეფასების კვირით,

მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ხოლო წინაპირობის არმქონე მოდულების განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგების მიღწევა (განმეორებითი შეფასება) დაადასტუროს განმეორებითი შეფასების კვირაში (ეტაპებს შორის არსებული 1 კვირიანი შუალედი) მოდულის განმახორციელებელთან /პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით ან პროგრამის დასრულებამდე 1-ჯერ.

შეფასების შედეგების გასაჩივრება (აპელაცია)

მარეგულირებელ წესში გაწერილია:

- რა შემთხვევაში, რა ვადაში და ვის მიმართავს პროფესიული სტუდენტი შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში ;
- რა ვადაში იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია და რა შემადგენლობით, ამასთან დაზუსტებულია საჩივრის მიღებიდან მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადები;
- დაზუსტებულია შემთხვევა, თუ პროფესიული სტუდენტი ასაჩივრებს წინმსწრები მოდულის შეფასების შედეგს, ის არ ეთიშება სასწავლო პროცესს მომდევნო მოდულის განმსაზღვრელ შეფასებაში მონაწილეობის უფლების გარეშე, სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ვალიდაცია

შეფასების პროცესი ტარდება შესაბამის გარემოში, წინასწარ განსაზღვრულ დროში, ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით.

მარეგულირებელ წესში აღწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა ვადების მითითებით, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან , მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვალიდაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს ვალიდაციის ჯგუფს. რომელშიც შედიან: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები/მოდულის განმახორციელებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები..

შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია მოდულის შედეგებთან და კრიტერიუმებთან დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის ან/და დარგის სპეციალისტის ხელისმწერით სპეციფიკის გათვალისწინებით და შეთანხმებულია სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან.

შეფასების ინსტრუმენტების არსებულმა ფორმები სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გადამტკიცდა განახლებული ფორმით, რომლებიც ითვალისწინებს ზეპირი გამოკითხვის და პროცესზე დაკვირვების შემტხვევაში დამკვირვებლის დასწრების აუცილებლობას. დამკვირვებელი ხელს აწერს შეფასების ინსტრუმენტს და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს კომენტარს. აღნიშნული განახლებული ფორმებით შეფასების პროცესი უნდა წარმართულიყო 2020 წლის 1 აპრილიდან., თუმცა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით ეს შეუძლებელი გახდა და ახალი რეალობის გათვალისწინებით აღნიშნული ფორმებით შეფასებები განხორციელდება 2020 წლის სექტემბრის თვიდან.

პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ზეპირი შეტყობინების ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული განცხადების ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით ან/და სხვა ალტერნატიული წყაროთი.

პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმირებას განმსაზღვრელი შეფასებიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. ინფორმირებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს ელ.ფოსტას, მესენჯერს, sms-სს, სასწავლო პლატფორმას და სხვა.

აქტივობა: 3.6.2. შეფასების სისტემის უზრუნველსაყოფად შიდა ვერიფიკაციის სისტემის დანერგვა

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

შესრულებული საქმიანობა:

ვერიფიკაციის პროცედურა ახალია და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად მისი წარმოება აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ მისი სირთულიდან გამომდინარე თავიდანმე ეს პროცესი არ იყო ზუსტად გაცნობიერებული დაწესებულებების მხრიდან, საწყის ეტაპზე/პილოტირების პროცესშივე ვერიფიკაციას და ვალიდაციას შინაარსობრივად ჰქონდა გადაფარვითი ხასიათი. ვაცნობიერებთ, რომ ის აქტივობები, რაც სასწავლო უნივერსიტეტში ამ დრომდე ხორციელდებოდა, გახლდათ ძირითადად ვალიდაცია და ფორმდებოდა როგორც ვერიფიკაცია (მაგალითად შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა შეფასების მიმართულებებთან, კრიტერიუმებთან და ა.შ, რომელსაც ადასტურებდა ხელისმოწერით დარგის სპეციალისტი/პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი), სასწავლო უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა ვერიფიკაციის პილოტირებაში და შედეგად მიღებული რეკომენდაციები ჩვენი მხრიდან გაზიარებულ იქნა პედაგოგიური პერსონალისთვის, ფაქტების გაანალიზებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები- თუ როგორი უნდა იყოს/არ იყოს მტკიცებულება რომ ის იყოს ვალიდური,

სანდო, ობიექტური, ჭეშმარიტი, ამ მიზნით ხშირად ტარდებოდა ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები როგორც ზუგდიდის ასევე სენაკის ბაზაზე მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ვთვლით რომ ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯები ვერიფიკაციისაკენ, თუმცა ვალიარებთ-არა საკმარისი.

ხარისხის ცენტრის მიერ მხარდაჭერილი ტრენინგების შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტს მიეცა საშუალება გაეზრებინა და გაემიჯნა ვერიფიკაციისა და ვალიდაციის მექანიზმები გადამტკიცებულ რეგულაციაში, რომელიც თარიღდება 2020 წლის 23 ივლისით .

აღნიშნული რეგულაცია სრულად მოიცავს ვერიფიკაციის პროცედურას და გასაგებადაა მოცემული დეტალები. სასწავლო უნივერსიტეტი ამ ნაწილში თვლის რომ, ვინაიდან ვერიფიკაციის მექანიზმის შესაბამისად დღევანდელი მდგომარეობით მტკიცებულებები არ გვაქვს, ვფიქრობთ 2.4.2. კომპონენტი ფასდება მეტწილად, რომელზეც გაუმჯობესების გეგმას წარმოვადგენთ დანართებთან ერთად განსაზღვრულ ვადაში.

მარეგულირებელი წესში მოცემულია:

ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- ა) შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია,
- გ) მტკიცებულების ვერიფიკაცია;

მარეგულირებელ წესში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურები. ვერიფიკაციის ჯგუფი შედგება ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირისაგან, დარგის კომპეტენტური სპეციალისტისაგან ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენლისგან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია (მოდულური/დუალური პროგრამების სწავლების გამოცდილება);

ვერიფიკაციის პროცესის სირთულიდან გამომდინარე ეს ხდება შერჩევითი პრინციპით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რისკების სისტემას პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით. ეს შესაძლო იყოს: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა.

შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია ხორციელდება წინასწარ შემუშავებული შეფასების ფორმების შესაბამისად, რომელიც მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებისა და მტკიცებულებების შესაბამისობის (მათ შორის მტკიცებულებების ფიზიკურად არსებობა, შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობა და ა.შ.) ლოჯისტიკური საკითხების გადამოწმებას ახორციელებს ადმინისტრაციის კომპეტენტური ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი, ხოლო ინსტრუმენტის შინაარსობრივ და მასთან დაკავშირებული საკითხების, ამასთან მტკიცებულების ვალიდურობის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების ვერიფიკაციას -დარგის სპეციალისტი.

ვერიფიკაციის ჯგუფი ამზადებს დასკვნას. საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს, პროფესიული განათლების განვითარების სამსახური ანგარიშვალდებულია რეკომენდაციების შესრულების გეგმის შემუშავებასა და მის შესრულებაზე, ხოლო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების უწყისების, შეფასების მტკიცებულებების აღივსებასა და შენახვას. მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება. მტკიცებულებების განადგურების შესახებ დგება შესაბამისი ოქმი; მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს /სურვილისამებრ პროფესიულ სტუდენტს;

მოდულის დასრულებამდე მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო კონტროლზე -პროგრამის ხელმძღვანელი;

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მტკიცებულებების აღრიცხვის მიზნით მტკიცებულებებს აბარებს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირს, რომელზეც დგება მიღება-ჩაბარების დოკუმენტი;

პროფესიული სტუდენტის მოდულების შედეგების მიღწევის შესახებ უწყისები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე პროფესიული განათლების განვითარების სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭებიდან- უნივერსიტეტის არქივში მუდმივად.

სასწავლო უნივერსიტეტში შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (შეფასების უწყისი, მტკიცებულებები) აღრიცხვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება შეფასების პროცესის მოდიფიცირებისთვის საჭიროების შემთხვევაში. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

სტრატეგიული მიზანი 4. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მუდმივი გაუმჯობესება

ამოცანა: 4.3 პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

აქტივობა: 4.3.1. პერსონალის პიროვნული ზრდის (მათ შორის ახალი პერსონალის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭიროებების დადგენა და პერიოდულად მიზნობრივი ტრენინგ-კურსების, კონსულტაციების დაგეგმვა, განხორციელება, რეკრუტირება, ახალი პერსონალის ინტეგრირება მართვის სისტემაში

სტატუსი: მეტწილად შესრულებული.

შესრულებული საქმიანობის აღწერა: პროფესიული განათლების განვითარების სამსახური მუდმივად ჩართულია იმ ღონისძიებებში, რომლებსაც სასწავლო უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, სამსახურის მხრიდან საჭიროების არგუმენტირებული წერილის საფუძველზე პერსონალს და მასწავლებლებს უზრუნველყოფს ტრენინგებით და ა.შ.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს გასცეს სხვადასხვა სახის განმავითარებელი რეკომენდაციები, მათ შორის ინტეგრირებული მოდულებისა და პროგრამებში ახალი ჩართული პერსონალისთვის მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლები სასწავლო უნივერსიტეტში შერჩეულ იქნენ კონკურსის წესით. საკონკურსო კომისია დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად დაკომპლექტებული იყო სამინისტროს, მასწავლებლის სახლის და ცენტრის წარმომადგენლებისაგან. 2019 წლის დეკემბრის, 2020 წლის თებერვლისა და მარტის თვეში გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და სამინისტროს უშუალო ინიციატივით/ჩართულობით პროექტის ტრენინგისა და შეფასების ექსპერტებისა (თამარ ჯაყელი, ნიკოლოზ სილაგაძე) და ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამის საგნობრივი ექსპერტების (ილია მესტვირიშვილი, მანანა ვარაზაშვილი, თამარ ჯაყელი, თინათინ ცერაძე, ეკა გეგეშიძე) მიერ. კომისიების მიერ შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ თემებზე:

ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მოთხოვნების გაცნობა;

კურიკულუმის (მოდულების სილაბუსი) აგებისა და განვითარების პრინციპების გაცნობა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიდგომების გაცნობა;

ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების სწავლება;

სწავლა-სწავლების პროცესის კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპების საფუძველზე წარმართვის სწავლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად მათი გადამზადების საჭიროების შესახებ მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით, იქნა განხორციელებული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მიერ.

შიდა ტრენინგზე განხილულ იქნა: მოდულური სწავლება, პროფესიული პროგრამების სტრუქტურა, მოდულების თავისებურებები და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის თავისებურებები.

ასევე პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლების შიდა ტრენინგებით უზრუნველყოფა იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც ახალი ჩართულები არიან სასწავლო პროცესში. უზრუნველყოფილ იქნა გაფართოებული შეხვედრა პროფესიული პროგრამების პროგრამის ხელმძღვანელებთან და ინფორმირებულ იქნენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საჭირო დეტალებზე, პროფესიული განათლების განვითარების სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით გეგმავს მოდულურ/დუალურ სწავლებაში ახლად ჩართულ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გაგრძელდეს ინტენსიური, თითქმის ყოველდღიური შეხვედრა. ამასთან გეგმავს, ინტენსიურად ითანამშრომლოს მასწავლებლის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და დააყენოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების საჭიროება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

სტრატეგიული მიზანი 5: სასწავლო პროცესის რეგულაციებისა და სტუდენტური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება

ამოცანა: 5.1 სასწავლო პროცესის რეგულაციების მოქნილობაზე მუდმივი ზრუნვა

აქტივობა 5.1.1 სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციების მექანიზმების გაუმჯობესება.

სტატუსი: მეტწილად შესრულებული

კომენტარი: ცვლილებები განხორციელდა ორჯერ

შესრულებული საქმიანობის აღწერა: სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ , რომელიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობები, სტატუსთან დაკავშირებული ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ამ მიმართულებით მიმდინარე კვარტალში ცვლილებები განხორციელდა „პროფესიული ტესტირების ჩატარების წესში ცვლილებებისა და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მათ შორის უფლებებზე, ვალდებულებებზე, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე, ვერიფიკაციის პროცედურაზე.

ცვლილება 1. აკ. საბჭო. 11 ივნისი 2020 წელი, 33-ე დადგენილება

ცვლილება 2- აკ. საბჭო, 2020 წელი 23 ივლისი

ამოცანა: 5. 2 . სტუდენტური სერვისებით მომსახურების გაუმჯობესება

აქტივობა 5.2.1. საკანონმდებლო ცვლილებებით, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების, სტუდენტთა მომსახურების ცენტრების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, წახალისებისა და ხელშეწყობის მექანიზმების გამოყენებით სტუდენტური ინიციატივებისა და საჭიროებების მხარდაჭერა.

სტატუსი: მეტწილად შესრულებული

შესრულებული საქმიანობის აღწერა: პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტმა გააუმჯობესა პროფესიული სტუდენტების მომსახურება, შეიქმნა:

ა) რექტორის სათათბირო, რომელშიც გაწევრიანებულია როგორც საბაკალავრო, ასევე პროფესიული პროგრამების სტუდენტები, მათ შორის სენაკის ბაზიდან. რექტორთან შეხვედრა იმართება მინიმუმ თვეში ერთხელ და საჭიროებისამებრ, განიხილება და იდენტიფიცირდება საყურადღებო საკითხები/პრობლემები. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებებში პროფესიულ სტუდენტთა მეტი ჩართულობის მიზნით რექტორის დავალებით შედგა ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან მათთან საინფორმაციო შეხვედრები, რომლის შედეგად პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ღონისძიებებში ჩართულობის ხარისხი გაიზარდა, თუმცა სათათბიროში პროფესიული სტუდენტების კანდიდატები შეირჩა პროფესიული განათლების

განვითარების სამსახურის რეკომენდაციით, რომელიც თავის მხრივ დაეფუძნა პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან წარმოდგენილ რეკომენდაციებს. გამოკითხვებში აისახა, რომ ე.წ. სათათბიროში შერჩეული კანდიდატების ვინაობა უმეტესი ნაწილისთვის ცნობილი არ იყო, რამაც უნივერსიტეტს მისცა საფუძველი შეემუშაებინა „პროფესიულ სტუდენტთა გაერთიანების“ დებულება, რომელიც უზრუნველყოფდა პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის ღიაობას, გამჭვირვალობას და სამართლიანობას. გამოცხადდა არჩევნები და არჩეულ იქნენ წევრები ზუგდიდისა და სენაკის ბაზაზე. ზუგდიდის ბაზაზე აირჩა 7, ხოლო სენაკის ბაზაზე 5 პროფესიულ სტუდენტი, აქტიურ სტუდენტთა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით. არჩევნები ჩატარდა 2020 წლის 11 და 12 თებერვალს, ხოლო ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით პროცესების დროებით შეწყვეტის გამო გადაიწია ჯგუფების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა გაერთიანების წევრებს შორის ხელმძღვანელების არჩევის პროცედურამ, რომელთა შერჩევის შემდეგ ისინი იქნებიან შუამავალი რგოლი ადმინისტრაციას და პროფესიულ სტუდენტებს შორის.

ბ) სტუდენტური მომსახურების სერვისების გაძლიერების (ინფორმირება უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესახებ, სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა და ა.შ.) აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა „სტუდენტური მომსახურების ცენტრი“ (2019 წლის 9 ოქტომბერი), 2020 წლის 1 ივლისიდან სენაკის ბაზაზე გაჩნდა 1 სამტატო ერთეული სტუდენტთა მომსახურების სპეციალისტის პოზიცია. მომსახურების

გ) სასწავლო უნივერსიტეტში აფხაზეთიდან დევნილი პროფესიული სტუდენტი 2018 წლიდან დღემდე სარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელით, სადაც უზრუნველყოფილია ბინით და არ იხდის კომუნალურ გადასახადებს.

ზსსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ცენტრს 2020 წლის 31 ივლისს წაუდგინა თვიშეფასება შევსებული ფორმით, ხოლო თანდართული დოკუმენტები გაგზავნილ იქნა 2020 წლის 10 ოქტომბერს.